საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 1 21 0000246669

18/03/2021

ფაქტ-მეტრის რედაქტორს,
ბატონ მალხაზ რეხვიაშვილს
ელ.ფოსტა: grassgroupchannel@gmail.com

ბატონო მალხაზ,

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარმოდგენილ თქვენს წერილთან (სამინისტროში რეგისტრაციის N186154; 02.03.2021) დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ 2012 წელს მასწავლებლები არ იყვნენ კატეგორიებად დაყოფილი, მხოლოდ არსებობდა სერტიფიცირებული და არასერტიფიცირებული მასწავლებელი. 2012 წელს სახელფასო ფონდისთვის გამოყოფილმა ასიგნებამ დაახლოებით შეადგინა 255.0 მლნ ლარი, აქვე აღსანიშნავია, რომ სერტიფიცირებულ მასწავლებელს 15 და მეტი საგაკვეთილო საათით დატვირთვის შემთხვევაში ეძლეოდა ხელფასზე დანამატი 75 ლარის ოდენობით, ასევე მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის მქონე მასწავლებელს დამატებით 125 ლარი და საუკეთესო შედეგების მქონე მასწავლებელს, თანამდებობრივი სარგო ევსებოდა 1000 ლარამდე; საგულისხმოა, რომ 15 საათზე ნაკლები დატვირთვის შემთხვევაში დანამატი იანგარიშებოდა პროპორციულად.

აქვე გაცნობებთ, რომ 2020 წელს სახელფასო ფონდისთვის გამოყოფილმა ასიგნებამ დაახლოებით შეადგინა 591.0 მლნ ლარი, ხოლო 2021 წელს სახელფასო ფონდისთვის გათვალისწინებულმა ასიგნებამ დაახლოებით - 628.0 მლნ ლარი. ამასთან გაცნობებთ, რომ მასწავლებელთა ხელფასი დაანგარიშდება „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

აქვე გაცნობებთ, რომ სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვისათვის მიზანშეწონილია მიმართოთ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

ადმინისტრაცია
საქმისწარმოების სამმართველო
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
ნათია ლომთაძე